საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1719/01
23/02/2022

1719-01-2-202202231039

შპს „იბეროილს“
მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ივანე იუმაშევის ქუჩა, N 13ე
ელ. ფოსტა: info@iberoil.com

სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამგორის რაიონში ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის პროცედურის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის დათვალიერებისას გამოვლინდა, რომ ტერიტორიაზე დაწყებული იყო 7000 მ³ მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები. კერძოდ, შესრულებული იყო მიწის სამუშაოები და ტერიტორიაზე იმყოფებოდა სამშენებლო ტექნიკა, თუმცა აღნიშნულის თაობაზე გზშ-ის ანგარიშში ინფორმაცია არ არის მოცემული. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ასევე საპროექტო ობიექტის მოწყობასთან დაკავშირებული შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, სადაც შეფასებული და გაანალიზებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა;**
- გზშ-ის ანგარიშში „საწარმოო-სანიაღვრე წყლების გაწმენდისას მიღებული შედეგების” ცხრილი (N4.4.2.7.3.1.) და გამწმენდი ნაგებობის ტექნიკური პასპორტი (დანართი N13.2) წარმოდგენილია მხოლოდ რუსულ ენაზე. **ვინაიდან საქართველოში ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;**
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის“ 1921 წლის 19 ოქტომბრის №5639683 ბრძანება, აღნიშნული ბრძანების თანახმად რკინიგზის ჩიხის მოწყობაზე ნებართვა გაცემულია 01.19.14.001.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც საპროექტო მიწის ნაკვეთიდან

დაშორებულია 140 მეტრით, ხოლო გზშ-ის ანგარიშის თანახმად რკინიგზის ჩიხის სიგრძეა 120 მ, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან ზემოაღნიშნული ბრძანების თანახმად, სარკინიგზო ჩიხის მშენებლობის დასრულების თარიღი განისაზღვრა 2021 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სარკინიგზო ჩიხის მოწყობის შესახებ, საპროექტო პარამეტრების მითითებით;**

- ვინაიდან წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის თანახმად დგინდება, რომ რკინიგზის ჩიხის მოწყობა გათვალისწინებულია 01.19.14.001.097 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ამასთან აღნიშნული მიწის ნაკვეთსა და საპროექტო ტერიტორიას შორის მდებარეობს, შპს „საქართველოს მელიორაციის“ საკუთრებაში არსებული მაგისტრალური არხი, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების შესახებ ინფორმაცია;.
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სარეზერვუარო პარკში საავიაციო საწვავი TS-ისთვის გათვალისწინებულია ერთი 1000 $მ^3$ და ერთი 2000 $მ^3$ მოცულობის რეზერვუარი. ხოლო გზშ-ის ანგრიშში (გვ.145) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში (გვ.28) მითითებულია, რომ სარეზერვუარო პარკი საავიაციო საწვავი TS-ისთვის შედგება 2 ცალი (V=2000 $მ^3$-1 ც, V=2000 $მ^3$-1 ც) რეზერვუარისაგან, რაც ურთიერთშეუსაბამოა და საჭიროებს დაზუსტებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე